





ხაზინა რომ მისცემს იმთ ფულს, რასაკვირ  
 ელია სარგებელსაც შეაწერს. ხაზინის სარ-  
 გებელი მანეთზე წლიწოდში ექვსი კაპეიცია.  
 მაშ თუმანზე თევში ეთქვით სამი კაპეიკი მო-  
 უწევს. ამხანაგები ამ ნასესხი ფულით შედ-  
 გენენ სამხანაგო თავის; აქედან ყოველი  
 ამხანაგი ექვსი თვის ვაღით აიღებს სესხს თე-  
 ვში თუმანს ექვს კაპეიკით, ეს სარგებელი ყო-  
 ველ გლენისთვის ძალიან ცოტა, ამიტომ  
 რომ კერძო პირს თუმანში უკანასკნელი  
 ზუთი შუბრიც უნდა მისცეს. მაშინ რა-  
 დესაც სამხანაგო თავნიდან რომ იღებს,  
 ექვს კაპეიკს მეტს სარგებელს არ იხ-  
 ღის. ამ ექვსი კაპეიკიდან სამი კაპეიკი სარ-  
 გებელი სახაზინო ფულის სარგებელში წაუ-  
 სამი კაპეიკი ისევ სამხანაგო ბანკში დარჩე-  
 ბა. რაც სამკაპეიკი სარგებლობით ფული შე-  
 გროვდება წლიწოდში ყველა ამხანაგებიდან.  
 ის შეადგენს კარგა ძალს ფულს; რომელიც  
 იქნება ყველა ამხანაგებისა; დარჩება სამხანა-  
 გო თავნი და ეწოდება ს უ ლ ა დ ი თ ა ე-  
 ნ ი. ამ თავის ვერაინ ვერ შეეხება.

ამას გარდა ყოველმა ამხანაგმა ყოველ-  
 თეობით უნდა გამოიღოს რამდენიც შეუძ-  
 ლია იმდენი ფული და მიუმატოს ხოლმესამხან-  
 აგო თავნა. ეთქვით ამხანაგებმა ვადაწყვი-  
 ტეს, რომ თევში თითოეულმა იმათვანმა  
 უნდა შეიტანოს სამხანაგო თავნი სამი შა-  
 ური. თითო ამხანაგს ყოველ წლობით ამ  
 ანგარიშით შეხედება თორმეტჯერ სამი შა-  
 ურის, ან ცხრა აბაზის შეტანა; ახლა ეთქვით  
 ახი ამხანაგია, აქედან ყოველ წლობით  
 თერამეტი თუმანი; ათი წლის განმავლობა-  
 ში ამ ფულიდან ას ოთხმოცი თუმანი ღებ-  
 ბა. მაშასადამე ასე ცოტა ფულიდანაც სამი შა-  
 ურის ძლიერით თევში ყოველი ამხანაგისაგა-  
 ნაც ხნის განმავლობაში დიდი ფული ღებ-  
 ბა. თითოეული ამხანაგისაგან შეტანილს  
 ფულს ჰქვია ამხანაგის წილი, ეს ფული არის  
 იმის საკუთრება, იმას ვერაინ წაართმევს,  
 თუგამოვიდა ამხანაგობიდან, თან გამოჰყვება,  
 მაგრამ სანამდის ამხანაგათ იქნება, უტყველოთ

სამხანაგო თავნი უნდა ჰქონდეს შენახული,  
 იქიდან ვერ გამოიტანს. ამასხით ამხანა-  
 გობას დროს ჯანმავლობაში თავის ფულიც  
 უგროვდება საერთო თავნი, ასე რომ ნასე-  
 სხი თავნი რომ კიდევ გაიტანოს ამხანაგო-  
 ბიდან ფულის მოვალემ-ხაზინამ, ან კერძო  
 პირმა, მაინც ამხანაგობას თავის საკუთარი  
 მონაგარი ფული ექნება, რომლითაც ყო-  
 ველ დაპირებზე ხელს გაიმართავს.


ამ სახით ნასესხებს ფულს გარდა, ამხანა-  
 გობამ უნდა შეადგინოს თავის საკუთარი  
 თავნიცა, ეს საკუთარი თავნი ღდება ერთის  
 მხრით იმ მომეტებული სარგებლისაგან, რა-  
 მელსაც აძლევს ყოველი ამხანაგი სამხანა-  
 გო თავნიდან ნასესხებს ფულში. ნახევარი  
 ამ სარგებლისა ისტუმრებს ხაზინას, ან კერძო  
 პირს, რომელთაგანაც პირველად ფული უეაღე-  
 ბია, მეორე ნაწილი სარგებლისაგან გროვ-  
 დება საერთო ფული რომელსაც ჩვენ დაუ-  
 რკვეით სულადი თავნი. ამას გარდა ყოველს  
 ამხანაგს ყოველ თეობით შეაქვს თავის თა-  
 ვად ცოტადენი ფული, რომელსაც ეწოდებ-  
 ბა ამხანაგის წილი. და ამ ამხანაგის წილე-  
 ბიდანაც ღდება საკუთარი ამხანაგობის თე-  
 ვნი; მაშასადამე რაკი ამხანაგობა აიღებს ეაღს  
 გარეშე პირისაგან, დაუბრებებს ამ ფულს ეა-  
 ლათ თავის ამხანაგებს. ამის შემდეგ იწყება  
 ორნაირი მოქმედება. ნასესხებ ფულს მუ-  
 დამ მუშაუობისა და იმის მომეტებულ სარგე-  
 ბლისაგან სულადი თავნის შედგენა და ცალ-  
 კე ამხანაგების გამონაღები ფულით, ამხანა-  
 გის საწილო ფულიც გროვდება. ამ დროს  
 სამხანაგო თავნი იქნება ორნაირი თავნის  
 ერთი გარეშე პირისაგან ნასესხები ფული და  
 მეორე ამხანაგების საკუთარი ფული, რომე-  
 ლიც ღდება ამხანაგების წილებისაგან და  
 სულადი თავნისაგან.

საკუთარი თავნის შედგენა ორ შემთხვე-  
 ვისთვის არის მეტად სასარგებლო, ერთი რომ  
 ვინციაზაა გარეშე პირს, რომლიდანაც ამხა-

ნაგობას ფული უსესხნია, თავის საკუთარი  
 ფული ძალიან დაპირდა და ამხანაგობიდან  
 გამოიტანა, ამხანაგობა პირლია არ დარჩეს,  
 თავის ფულით თავი გაიტანოს; მეორე რომ  
 რაც უფრო ბევრი საკუთარი ფული ექნება  
 ამხანაგობას ბანკში შეგროვებული, იმდენთ  
 უფრო ხელფართო მუშაობა ექნება იმის  
 ფულს, იმდენათ უფრო დიდი ნდობა მიუცე-  
 ბა კერძო პირებისაგან და ყველანაირ ისურ-  
 ვებენ ამ სახანაგო თავნი თ ავის ფულს  
 შენახვას საწარმოებლად და ამის შემდეგ  
 სამხანაგო თავნის მმართველნი ვერც კი აუ-  
 ელენ კერძო პირების თხოვნას, არა ჩვენი  
 ფული მიიბარეთ და არა ჩვენიო.

ჩვენ რითი ვართ ღარიბნი? — რა მიზეზის-  
 გამო არ შეგვიძლიან სასარგებლო საქმეების  
 დაწყება, სხვა და სხვა ხელობის გამართე-  
 და ახალ ახალი საადგენიემო საქმეების და-  
 წება? იმისთვის რომ თავის დროზე ფული  
 არა გვაქვს ხოლმე. სამხანაგო თავნის შედ-  
 გენა იმითია კარგი, რომ დაპირების დროს  
 ჩვენი სამყოფი ფული ყოველთვის გვექნება,  
 არაუვის საღრიტინოთ საქმეს არ ვაგინდით,  
 ორი თუმანისთვის ჩვენს ყოფა ცხოვრებას  
 და მოგებას სხვას ხელში არ ჩაუვდებთ და  
 ამას გარდა თვითონ სამხანაგო თავნიცა  
 წლის მონაგებით თან-და-თან ფული გვე-  
 გროვდება. ერთი სიტყვით სამხანაგო თავნის  
 შედგენა არის ის ოქროს მარანი, რომელიც  
 მართლაც ნიაღვრ ფულს მოგვეცემს ათ ჯერ  
 ცოტა სარგებლით, ვიდრე სხვისგან ვისესხებთ  
 და აქვე ყოველს ჩვენთავანს, ჩვენსავე შეუ-  
 ნიშნავთ უღიღებდა თავის მონაგები. აი, ის  
 ოქროს მარანი: რომელსაც მე მოვახსენებ-  
 დით, მკითხველო, და რომელიც შეგვიძლიან  
 მოვიპოვოთ ერთმანეთში თავდებობის გამარ-  
 თებით.

**სამეცნიერო ნაწილი**  
**წელის ქვემოთი ვადაცხები.**  
 წინანდელ ნომერში ჩვენ გამოვიკვლიეთ  
 რომ მომეტებული ნაწილი მიწის სისქის





არის საშინელის სიცხისაგან გაღვწეული ზე-  
თივით, რომელიც ჩამწყვედულია გარეთა მი-  
წის ქერში. ამ მაგარი ქერქის სისქე რომ შე-  
ვადართ გაღვწეულ გულის სისქეს, როგორც  
მაშინ ვთქვით, ამ ქერქის სითხელე ძალიან  
გაგაყვირებებს. ამ დედა-მიწის ქერქზე დგას მთე-  
ლი ზღვები და უკანები. ეს დედა-მიწის ქერ-  
ქი შემდგარია მრავალი მიწის ნაკეცებისაგან,  
რომელიც კეცეკა, როგორც წიგნების ფურ-  
ცლები, ერთმანეთზედ არიან დაწყობილი.  
მე მაგონია ეს ერთმანეთზე დაწყობილი მი-  
წის ნაკეცები ყველას უნახავს, ვისაც გაუგ-  
ლია იმ ადგილებზე ჩვენში, სადაც მიწა ან  
მთელი ზეგი და მთა გაჭრილია რკინის გზი-  
სათვის. არამც თუ რკინის გზის გაყვლება.  
ვისაც აუ გაუთხრია მიწაში, ან მთიან ადგი-  
ლებზე ფოჩტის გზა უკეთებიათ ამ მიწის ნა-  
კეცებს ფურცლებსავე ერთმანეთზე დაწყო-  
ბილს ყველა შენიშნავდა. წარმოვიდგინოთ  
რომ ზოგვან ეს მიწის ფურცლები დატეხი-  
ლია. რასაკვირველია ამ დატეხილ ფურცლებ-  
ში ჩადის წვიმის წყალი სულ ძირსა და ძირს.  
განსაკუთრებით ზღვის ძირებში და პირებზე  
უფრო ნიადაგ უნდა გაეყვანებინა ძირსა და  
ძირს ეს წყლის ნაკადული. ბოლოს ეს წყა-  
ლი ჩავა გაღვწეულ მიწის გულის მახლობლათ  
და იმ საშინელი სიცხისაგან ომშიგარდ იქ-  
ცევა და ოთხას ჯერ მომეტებულს ალაგს  
იჭერს, ვინამც წყალს ეჭირა, სანამ ომშიგართ  
გადიქცეოდა, თუ ცოტა წყალი გადაიქცა  
ომშიგართ კიდევ არაფერი, მიწის ქერქი კი-  
დევ გაუმარდება იმის ძალას, მაგრამ თუ  
ბევრი წყალი გადაიქცა ომშიგარდ, მაშინ კი  
ომშიგარდ ვეღარ ეტევა მიწის ქერქში და სა-  
შინელის ძალით მისწი-მოსწევს დედა მიწის  
ქერქს შეინძრებს დიდ მანძილზე იმას და ამ-  
დროს ვინც დედა-მიწის ზურგზე ეცხობებოთ,  
აუ დღე გვიდგება. ჩვენ ვგაძნობთ მიწის  
ნძრევას და თუ ღონიერათ შეინძრა მიწის  
ქერქი იმის ქვეშ დამწყვედულს ომშიგარდსგან,  
მაშინ რაც რომ დედა-მიწაზე დგას, იმის მახ-  
ლობლად საცა ქერქი შენძრეულა, ყოვე-  
ლივე ინტრევა ერთმანეთს აწყდება ცხო-  
ველი კაცი იხილებიან, მცენარე იმტრევა,

არდევია და შენობა ქვისა და ხისა მტრად  
იქცევა. ამ საშინელს მოვლენის გამო დიდი  
ხანი არ არის, რაც ჩვენს კაცასიაში უმე-  
ხის ქალაქი დაიქცა და ეს ოთხი ხუთი წე-  
ლია ხშირად იყო მიწის ძვრა ჩვენში. შარ-  
შანწინ ყოველის მხრით მოგვიდიოდა ამბავი  
მიწის ძვრისა, ტფილისში, თელავში, ქუთა-  
ისში, ბაქოში, ერთი სიტყვით მიწის ქერქის  
სისხი სიგძმეზე ვგაძნობდით მიწის ქერქის  
თრთოლვას და ბოლოს ამ მიწის ძვრამ გა-  
დაიტანა შემახისი ქალაქიც. ზოგჯერ და უფ-  
რო ხშირადაც მიწის ძვრა ძალიან დიდ მან-  
ძილზე მოხდება ხოლმე, მაგალითად შეიძლე-  
ბა დღეს მთელი კავკასია შეინძრეს, ხეალ ეს  
ძვრა იგარძნო იტალიაში, ისპანიაში და მე-  
რე ამერიკაში. ამისთანა ნახევარი მიწის ზურ-  
გის ძვრა იმითი ახსენება, რომ ომშიგარი  
დარბის მიწის გულში იმისდა შესაფერად, რო-  
გორც მიწა ტრიალებს, დღეს აქ მოაწეება  
მიწის ქერქს, ხეალ იტალიაში, ზეგ კიდევ  
ამერიკაში. მიწა თითქოს კაცსავეთ წვალობს,  
რომელსაც მუცელი გაბერვია და ქარები ხან  
სტამბავის ერთ გვერდზე მოაწეება და ხან  
მეორეს გვერდზე, წვალობს მშობიერ დედა-  
სავეთ. მიწა იძვრის ამ დროს და იმის გულ-  
ში დაგუბებული ომშიგარიც ეძებს ამოასე-  
ლელს ალაგს და აი თუ შემთხვევით მიაწე-  
ვეზუფის მთის ძირსა იქ რასაკვირველი, ამოი-  
ქუბებს ევზუფის ყელში და თან ამოანთხებს  
რომელიც მიწის გული ზეთივით გადმოდის და  
რაც მოხვდება, ყოველსავე სწავს და ინელებს.  
თუ ევზუფისთანა გახერეტილი ანუ ცეცხლი  
მქმნავეი მთები არ შეხვდა, მაშინ სადმე მი-  
წის ქერქს ამოხეტაქვს და ახალს მთას გააკე-  
თებს. წარსულ საუკუნეში მოტიტელებულ  
მინდორზე ამერიკაში ანაირათ ამოხეტა  
ომშიგარამ მიწის ქერქი ამოანთხია გამდნარი  
მიწის გული და ახლა იქ, საცა მაშინ მინ-  
დორი იყო, ხორბულოს მთა არის გაკეთებუ-  
ლი. ეს ჩვენი კავკასიის მთები და სხვანაც,  
რაც დედა-მიწაზე მთებია, სულ ანაირათ არის  
მიწის ქერქისაგან გამოხეტქილი და აყუდე-  
ული.

როგორც ზევით ხველეთზე არის ვთქვით  
ნური მოქმედება, უკვანის ქვეშაც ამავე  
რათ ამოხეტქება წყლის ძირი, მხოლოდ  
ჩვენ ძვირათ ეხედეთ და ენიშნათ ხოლმე,  
ვოლკანურს მოქმედების კეას მხოლოდ  
მაშინ ენახათ, როცა ვოლკანის ყელი ამო-  
ვა ზევით და ამოყოფს თავს წყლიდან. ხში-  
რად ხამალდი შეესწრება ხოლმე ფურთქე-  
ნას, ზღვის ღელვას, ილუება კიდევ და ამ  
ხამალდში მსხდომმა კი არ იციან, რომ ამის  
მიზეზი ზღვის ძირში ვოლკანის მოქმედებაა,  
როდესაც ომშიგარი ამოიქუბებს ხოლმე უკა-  
ნის ძირში; ვოლკანიდან ის ცივდება და ისევ  
წყლათ იქცევა, იმდენ წყლის სიმძიმეს ვეღარ  
ამოუვა ზევით და იქვე შეერევა ზღვის წყალს.  
ნადული ანუ ლავა, რომელიც ვოლკანის ქე-  
ლიდან ამოდის ეფრება უკვანის ძირში და  
ქვები, რომელთაც ვოლკანი ისერის იქიდან,  
ისევ შიგვე ვარდება.

(შემდეგ იქნება)

### ამბავი

ლოჯინის სამკურნო საკლდეგან ანკანა  
დგან დაწყობილი მასამდის 1862 წ.

ამ 1872 წელიწადმა ცუდი ამინდი მოუტო-  
ნა მახავალს ტფილისის გარეშო ადგილებს,  
თუმცა ზამთარი მშხალი იყო, მაგრამ ზამ-  
თრის ბოლოს დაიწყო წვიმები ასე, რომ  
მიწა სამყოფად გალბა, ყველიერია რომ დღეა  
ყოველივე გამოიცვალა, ოც ფებერულიდან  
დაწყებული ოცდა ოთხამდის ისეთი საშინე-  
ლი ქარი ჰქრდა ჩრდილოეთიდან და  
დასავლეთიდან, რომ მიწა სულ ერთიანათ  
გახანო და წყლის რუები სულ ერთიანათ  
ამოავსო ერთი ეფრისის სიგძმე. ისეთი მტე-  
რი მოჰქონდა, რომ თვლით არ იხედებოდა  
რა. შემოდგომის ჰურები ამისგანა ძალიან  
დაიგვალენ, რადგან აღარც სისეველ ჰქონდა  
მიწის და ჯეგვლებს ფეხები სულ გამოჩინე-  
ლი ჰქონდა. ამის შემდეგ მასის ნახევარმდინ  
წვიმა თითქმის აღარ მოსულა და თუ თითო-  
ორჯოლა წვეთი ჩამოვარდა, ისიც მალე შრე-



ბოდა გოლისაგან. ამისთანა ამიდს გაზაფხულზე სამწუხარო შემდეგი ჰქონდა მოსაეღოსათვის. თფილისის გარემო სათიბები და საძოვრები სულ ერთიანად დახმენ; მისის ნახევრამდის პურები გაყვილდნენ. ზოგიერთმა სოფელელმა ამდროს დაუწყო ამ გაყვი-თლებულს ყანას მკა, სხვებს ისე წაუხდათ პური, რომ აღარც კი მოუტკიათ და ყანებში ნახირი შეუშვეს. ბევრმა თავის ყანები მომკის მაგიერათ მოთობა და თივთ შეინახა. რომელნიც ძალიან მაღალ მთებზე იყენენ ნათენი, იმათ მოსკეს მხოლოდ კარგი მოსავალი. მისის ნახევრადგან დაიწყო წვიმები და თითქმის აქამდის აღარ შეწყვეტა. ამის შემდეგ გამხმარი მიწები და გარე-ბი ისევ ამწყანდნენ, მაგრამ არა მგონია, რომ ამ ბალახმა ივარგოს, როცა დაიწყება ზაფხულის სიციხები. განსაკუთრებით დიდი ღვარი მოვიდა ოცდა შვიდს მისს ღამით და რუ-ებსაც ძალიან ავნო, გვერდები სულ გამო-უთხარა.

ლოკინის შკოლის ყანებში გამოსაცდელათ დათესეს კართობილი, ბევრი ყვავილიანი ლობიო, ჩენგებური თუთუნა (მახარკა), ბამბა და აგრეთვე სათივე ბალახების თესლი, კოლინდარი და მაღარო. კოლინდარი ჯერ კიდევ შარშან დათესეს თიხიან მიწაზე, მაგრამ მხოლოდ ამ წელს გაიხარდა კარგი. დი-დი ერთ არწინ ნახევარი სიმაღლე, რომ შე-გებულნათ სწორეთ მოგეწონებოდათ, ისე მშვენიერათ გაბღლიალებული და აბიზინე-ბულიიყო. ეჭვი არ არის ტფილისის გარემოს კარგათ უნდა ივარგოს ამ მცენარემ, რადგან ყველგან მიწაში კარგა ბლომით იპოება ალი-ბასტრი, განსაკუთრებით, როცა ღრმით ექვს გოჯაზე დახენენ, ნაკელით გასაქებენ მიწას ძალიან აღრიანათ გამოზაფხულზე, მერე ადილათ დაფრცხენენ, ამ წელს საცდელათ დათესეს კოლინდარი უფარგ ალიბასტრიანს მიწაზე. მაღარო ბალახმა ძალიან ივარგა ხმელს ალაგზე. მოამავალს წელს ეფუქრობთ ძალიან ბევრი იონჯა ბალახის დათესას.

წყარობისა და წვიმის წყლის შესანახათ აგარის მმართველმა შუღლმა დააგუბა წყა-ლი. ეურჩეთ ჩვენს მეოჯახებსაც ასე მოიქცენ. საგუბარის შუა ადგილზე აკეთებენ ან ქეითკირს ან ხის პატარა კოშკს, რომე-ლიც დგას იატაკზე: ეს იატაკი გახერტილია და დაცულია მაგრა ზუშპით. ეს ნახერტი ჩადის კოშკის ქვეშ გაკეთებულს წყლის სა-ვალს მიღში მერე მილი საგუბარიდგან გაყვანილია პირდაპირ კოშკში, მერე საგუ-ბარს არდიგარდა მიწა არის დაყრილი ეს მიწის კეფელი მიხრილია წყლის საგუბრისაკენ. კოშკი და იმის მიღები დაფარულია ამ მი-წის კედლით, ასე რომ მარტო ზედა ნაწილი კოშკისა ამოშვრილია იქიდან. იატაკში რომ კოშკს ნახერტი აქვს, ზუშპით რომ დაუტევა, მაშინ კოშკის საგუბარში, ან ტანში წყალი დაგუბდება ზევითა მილით; როდესაც წყალი რამდენზედაც ჰსურთ, იმ სიმაღლეზე ავა, მა-შინ ზუმას ამოძრობენ იქიდან და წყალი დაიწყებს დენას ქვემო მიღში, ამ მიღებისა და კოშკის წყალობით წყალარაოდეს არ ახდენს ჯებირს, მიწის ბევრც არ ირღვევა, ამიტომ წყლისკენ იმდენათ მითხრილია, რამდენიც საჭიროა, ესე იგი სამოცი გრადუსი და მეო-რე მხარეზე ორმოცდა ხუთი აქვს დასრული. ეინიცობაა თუ დიდი ღვარი უტბათ მოვარ-და, გაავსო საგუბარი და მიწის ბევზე გად-ვიდა, იმ შემთხვევისათვის, რომ ბევი წყალ-მა არ წახანდნოს, ესე იგი არ გადარცხოს ბევის სიმაღლეზე, საგუბარს გაკეთებული აქვს რუ, რომელშიაც მოკეტებული წყალი თავისუფლათ გადავა. პირველ შემთხვევაში მიწის ბევში წყალი რომ არ გავიდეს, ცოტა მაინც არ იქნება, მაგრამ შემდეგ როცა მიწა ბევზე ძალიან დაიტკუნება და დაწევა, მერე ფიქრი არა აქვს ოღანა წყლიც აღარ გავა შივ, ხის კოშკში რომ წყალი არ გასულიყო, ის გაუისეს ასვალტ ლაქით (АШЛАБЪ-ЛАКЪ), რომელიც შეიძლება იყიდოს კაცმა სიმენსი-სა და კამპანის შენობაში ტფილისს. რაიცა შეეცება მაგარ კირსა, რაი რკინის გზა გაიშარ-თება ფოთსა და ტფილისშია, იმისი დაბარება ინჟინერ შაჰროვის თეკლათის შენობიდან

დაბარება ძალიან ადილია. ამისთანა საგუბ-რების გაკეთება, განსაკუთრებით ძალიან სა-სარგებლო იქნება გაზაფხულის წვიმის წყლე-ბისა და წყაროს წყლების შესაგროვებლათ ორს ბევს შუა, რომ შემდეგ კაცმა მოიხმა-როს ეს წყალი სარწყავათ, მორწყვის გარდა საქონლისა და ცხენების საბანებლათაც ძა-ლიან გამოსადევი იქნება ეს დაგუბებული წყალი.

აბრეშუმის ჭიები გამოვიდნენ თესლითგან აღდგომის კვირებში. მაგრამ რადგან ცივი ამიდები დაუღდა მიძიეთ გამოვიდნენ და თი-თქმის ორი კვირის განმავლობაში არ გათა-ეებულა. სიცივეები ღამით სამ გრადუსამდის იყო და გარე მთიანს ალაგებში. მაგალითად მარტყაფში ყინებიც კი იყო. დიდმა ჩრდი-ლოეთის და დასავლეთის ქარმა ძალიან ავნო ხეების ფოთლებს და განსაკუთრებით თუ-თის ხეებსა. ჭიის ჭირის მოსასპობელათ ყვე-ლა ფოცხები და საჭიე ჭურჭლები კეცები და სხვა კარბოლის ძმართ გარეცხეს, აქამ-დის ავთიმეფობა არა გასჩენიათ რა ჭიებს, თუმცა იენისის ნახევრიდან იწყეს იმათ პარ-კების კეთება. შკოლის საჭიე სადგომში ორი გვარის აბრეშუმის ჭია იზრდებოდა: სპარსუ-ლი და იაპონური.

საქონელსაც არაფერი ავთიმეფობა დამარ-თნია ამ წელს. მხოლოდ ერთ ხარს ორაჯერ გამოება უკანა ფეხზე მუწუკი, რომელსაც თითქო-სიბირის ჭირის ნიშნები ჰქონდა. ორ ამისთანა მუწუკს ადილათ არჩენენ და-წვიეთ. ჩვენ ამოვსკერთ ხოლმე და მერე კარბოლის ძმართ მოგბანეთ. ხარი მალე მოარჩა. ერთი ძროხაც ვახდა ავთ მუცლის გაბერვით. დამწვარი კირი ორი უნცი გავ-ქნით ერთ ბოთლ წყალში და დაეკლვიენით, ამ შემთხვევაში კირი იტაცებს ნახშირ ძმარს ჰაერ გვარს, რომელიც გროვდება სტომაქში. რაიცა შეეცება კარბოლის ძმარსა, ძალიან სასარგებლოა იმისი შინ შენახვა, რადგან ბევრს საქონლის ავთიმეფობაში ძალიან გამო-სადეგია, მაგალითათ წარსულს წელს კარბო-ლის ძმართ ესინჯე მუნის მორჩენა, ყველამ



იცის თუ რა ძნელია მუნიის გაქრობა. ერთი ნაწილი კარბოლის ძმრისა შერეოთ სპირტის ოთხ ნაწილში და მერე ექვსი ნაწილი წყალიდავასხით ზედ და ამისთანაწამლით დაუწყეთ ცხენებს მუნიის ბანა. ამას გარდა თამბაქოსა და ნაცრის ძალის წენით ებანდით. მეტი არ შეიძლება ისე კარგათ არგო ამ წამალმა, მუნი სულ გაუქრო საქონელს, ფაფარი, ქაჩაჩები და კუდიც კარგათ უნდა დაბანო ხოლმე ამ წამლით, თორემ მუნიის ჯღიბები იქ შეიშალენ თაეს და შემდეგ ისევე გაუჩნდებიან ცხენებს.

ვისაც უყვარს მტრედების გაშენება, იმათ ურჩევთ ნახონ ლოკინის აგარაზე გაკეთებული სამტრედე, რომელიც არის თუნუქით შემოკრული ბოძზე გამართული საყენ და ერთ არწინზე ამისთანა სამტრედე კაკაჟისის მხარეზე არსად არ არის გამართული და იმიტომ მივიხსენებ.

ბოლოს უნდა მოვიხსენო რომ შკოლის ტყის საშენებელი ალაგი რომელიც გაიმართა წარსულ შემოდგომაზე, უკიდვე მოუშარბა და იქ თესლით გაშენებულმა ტყემ ერთ არწინზე მომეტებული ტანი აყარა. ამ წელს პირველად გაისხლა ეს პატარა ნერგები და აწ მიმეღა პატარა ხეები უფრო მაღე აყრიან ტანს.

აგრონომი გემსკი.

**რუსეთის ამბები**

«რუსის უწყებებში» შემდეგი ამბავი სწერია მოსკოვის მახლობლათ საქონლის ჭირზე. ჯერ ს სვიროგს ხალათოვის აგარაზე განხდა ჭირი. იქიდან ჭირიანი საქონელი წამოიყვანეს მოსკოვის ქალაქში, გზაზე გამოატარეს ოსტაქინის ევლებზე, სადაც იმდროს მოხსებო სძოვდენ. ამის შემდეგ ოსტაქინაშა-ც ჭირი დაერია ძროხებს. და თუმცა ეს ორი კვირა იქ ჭირი გაჩენილა, მაგრამ აქამდის არაფერს განკარგულებას არ შეკრებიან.

ზოგიერთმა მოსახლეებმა თავიანთი ძროხები გაგზავნეს ქალაქს მოსკოვს და მკედარს საქონელს საცა მოხვდებოთ, იქ მარხვენ.

— **პ ს კ ო ე ვ ი** არის ერთი საზოგადოება, რომელსაც სახელათ «ქეზი» ჰქვია და ხელმწიფე იმპერატორის მემკვიდრის მეთულის მფარველობის ქვეშ არის. პირველათ პსკოვის გუბენატორის ცოლს მოუვიდა თავში ამ საზოგადოების გამართვა. იმან გონივრათ განსაჯა, თუ რამდენათ ცუდია პსკოვის გლახების მდგომარეობა, რომელთაც თვითონ პსკოვის საზოგადოება აუზნებებს და ამრავლებს გლახებს იმითი, რომ ვინც უნდა შეხედეს გზაზე და ხელი გაუწედიროს ფულის სათხოვრად ყველას აძლევს. ეს ჩვეულება პსკოვში აქამდინაც არ ამოკეთილა: ზოგნი შფათობით პატიყდენ გლახებს, ზოგნი კვიაობით, ზოგნი სხვა დღეს. ერთი სიტყვით სხვა და სხვა პირებს თავ თავისი დღე აქვს ამორჩეული, ისე რომ განუთიხებათ ფულის ძლევა თვითონ გლახებსაც რყენიდა. მთელი დღე ზარმაცი გლეხი ან დედაკაცი დადიოდა კარდაკარ, შეგროვებდა ფულს და საღამოს იყიდებდა ნახევარ ჩაურქს ოტკას და თერებოდა. ვინც შემოხსენებული საზოგადოება გამართა, იმან ურჩია პსკოვის საზოგადოებას, რომ ფულის ძლევის მაგიერათ გააკეთონ ბილეთები პურის მისაცემათ. მაგალითად: ერთი ბილეთი ღირს ერთი კაპეიკი. ვინც ამისთანა ბილეთს მიიტანს «ქეზის» საზოგადოებაში, იმას მისცემენ იმდენს პურს რამდენიც მოვა ერთ კაპეიკათ.

ერთი ბილეთი თუ ცოტა არის, ის მისცემს საზოგადოებას ორს, სამს ბილეთს და ამისდა შესაფერათ პურსაც მისცემენ და მისაწებელსაც, ასე რომ გლახა ადვილათ ისაძილებს. ამ საზოგადოების მოთავენი არიან ქალები, რომელთაგანაც შესდგება კამიტტი, მაგრამ ხაზინადარი და სერკეტარი კაცები არიან. ამ ბილეთებს მოიპოვებს ყოველი კაცი, ვინც თაბაღში შეიღეს შაურს ან ორ აბაზს მისცემს საზოგადოებას. როგორც ამბობენ

ეს საზოგადოება ძალიან ბევრს გლახებს ღრენს პსკოვის ქალაქში. ამ საზოგადოების მმართველებს ცოტა გულს აკლიათ ვაჭრებზე; რომენიც არ ასრულებენ ამ დადებულს წესს, ბევრნი არიან რომ არ ყიდულობენ ამ ქალაქის ფურცლებს და უწინდელათ აძლევენ წერილს ფულსა.

**ქაღალდის კეთება ხის ნაყოცისა და რილისაგან.**

ამ უკანსენელს დროს ქაღალი ძალიან გაძვირდა რუსეთში. ტფილისში უწინ რომ ოთხმანეთათ და ერთ აბაზათ ეშოულობდით ოზმას, იმისთანა ქაღალდს ეხლა ექვს მანეთათ ევლარ ეშოულობთ. წიგნების და გაზეთების გამომცემლებს ძალიან გაუჭიდათ საქმე. ზოგიერთი გონიერი ქაღალდის მკეთებლები ფიქრობენ. ქაღალდის გაძვირებით კი არ უნდა გავდიდლოთ იმის კეთება, უნდა გეცადოთ, რაც შეიძლება გავაიფოთ, რომ შეიძლება რაც შეიძლება ბევრი ქაღალდის გაყიდვით. როგორც ვიცით ქაღალდს აქამდის ძველი ჩერებისა და ჭინჭებისაგან აკეთებენ, ამისთვის რადგან ამ ბოლოს დროს ჩერების ფასმა თან და თან იწყო გაძვირება, ამისთვის ცხადია, რომ თვითონ ქაღალდმაც იწყო გაძვირება. ევროპაში ქაღალდის საკეთებლათ მომეტებულს ნაწილს ფუჩქის და ხის ცილას ხმარობენ. ამ ბოლოს დროს რუსეთშიაც შემოიღეს ხის ცილის ხმარება ქაღალდის საკეთებლათ. ამ შემთხვევაში რუსეთში უკეთესი მასალა არის, ეინამც საზღვარს გარეთ, რუსეთში ძალიან ბევრს სელს სთესენ და იმის ნარჩევი ღერები ყველას სჯობია ქაღალდის საკეთებლათ.

სელი ძალიან ბევრი ითესება მიწდვირანს რუსეთის გუბერნიებში სელის თესლისათვის, რომელთაგან ზოგი რუსეთის ზეთის სახდელ ქარხნებში შიაკეთ და მომეტებული ნაწილი კი საზღვარს გარეთ გააქეთ გასასყიდათ. ნარ-



ჩვეი ფურცელი ან ნაძევი ჩაღიით სახლებს ხურა-  
ენ; მაგრამ სელის ძაფსა კი ცოტას აკეთე-  
ბენ, რადგან სელს თესლისთვის სთესვენ  
მხოლოდ, ამისთვის აცლიან სანამდის ძალიან  
კარგათ არ დამწიფდება თესლი. მეგრ მოთი-  
ბვენ სელსა ყანებში ჰყრიან, სანამ სრულე-  
ბით არ გახმება: მეგრ მოაგროვებენ და ყრი-  
ან სწორს ალაგას ერთ არშინ ნახეარ სის-  
ქმზე, შემდეგ შეაბმენ ურმებში ცხენებს და  
დაიწყებენ ზედ ტარებას. ამისთანა ლეწვით  
ღერები იმტრევა, სელის ძაფები წყდებიან  
ერთმანეთში იბურდებიან და, რასაკერაველია,  
ამ სახით ძაფი იმისგან არ გაკეთდება. აქამ-  
დის ამ ფურცლებს და დაბეგვილს ღერებს მი-  
წის სასუქათ ხმარობდნენ, ამ ბოლოს დროს  
პოლტავის ლუბერნაში სელისგან ძაფის  
კეთებაც იწყეს. ამ მავალითს მარშანსკის უეზ-  
დის მეოჯახებმაც წაბადეს, მაგრამ იმდროსათ  
ცოტა შემოსავლი მოაქვს ამ ძაფის ქარხნებს,  
რომ მინდერის გუბერნიის მებატონეები არ  
მიაქცივენ ამ საქმეს ყურადღებას.

აი, ამ ბოლოს დროს სელის ღერების  
ხმარება იწყეს საწერი და საბეჭდი ქაღალდე-  
ბის საკეთებლათ; იმათ გასაიგებლათ. ერთმა  
შემძლე მინდერის გუბერნიის მებატონემ ურ-  
ჩია ერთს ახალგაზდა ყმაწვილს კაცს, რომ  
იმას ეცაღნა, თუ შეიძლება სელის ღე-  
რის ხმარება, ქაღალდის საკეთებლათ. იმან  
მართლაც მრავალი შრომის შემდეგ მოიგო-  
ნა ძალიან ადილი საშუალება სელის ღერის  
გათოტრება და ცოლით კეთება, რომლიდ-  
განაც მშვენიერი ქაღალდი გამოიღის. იმეღია,  
რომ თუ სელის ღერის ხმარება იწყეს ქა-  
ღალდის საკეთებლათ, თვითონ რუსეთის მინ-  
დერის გუბერნიის მცხოვრებლებსაც დიდი  
შემოსავალი ექნება და ქაღალდიც გაიფდე-  
ბა, ღმერთმა ქნას მალე გაჭრელებულიყო  
ეს წარმოება.

**ტფილვის კრამჩნეთის ნღობის საზოგადო-  
ების წესდებულება.**  
ამ წლის დამდეგ შესდგა საზოგადო-

ება, რომლითაც ეწოდება ურთიერთ ნდ-  
ობის საზოგადოება რომლის წევრებთ  
შეუძლიანთ გახდენ ყოველთავე. ეინც უკა-  
ნასკენლათ სამ თუმანს მინც შეიტანს, რომ  
ოცდაათი თუმნის რწმუნება ანუ ნღობა  
მინც ექნეს. ამაზე ნაკლებს შეძლებულს  
კაცს აღარ იღებენ. მაგალითად მე შემაქეს  
სამი თუმანი ძირი ფული და როცა დამკირ-  
დება შემეძლება საზოგადოებიდან ოცდა-  
ათი თუმანი ვისესხა. ეინც ოცდაათ თუმანს  
შეიტანს, იმას სამასი თუმნის ნღობა აქეს და  
ეინც სამასს თუმანს შეტანს იმას სამიათასი  
თუმნის მოხერხებას აძლევს საზოგადოება;  
ასე რომ საზოგადოება უიმისოთაც შეძლე-  
ბულს კაცებს ათი იმდენი შეძლების ღონის-  
ძიებას აძლევს თავის ჯიბის გასასქელათ და  
ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

ერთმანერთ ნღობის საზოგადოება ყოველს  
თავის წევრს ხელს უმართავს ყოველის შემ-  
თხვევით ისარგებლოს და ამ შემთხვევაში  
აძლევს იმას ათჯერ მეტს მოხერხებას თავის  
გასამდიდრებლათ.

ჩვენ საჭიროთ გრაცხთ მკითხველების  
საცნობელათ ვადმოეთარჯმნოთ ამ საზოგა-  
დოების წესდება.

**I. საზოგადოების დაწესება და თანხის შე-  
დგენა.**

**§ 1.**  
ტფილისის საზოგადოება ერთმანეთის ნღო-  
ბისა დაწესდება ქ. ტფილისში იმ განზრახვით,  
რომ ამა წესდებულების თანახმად ყველა იმის  
წევრებს ქალსა და კაცს შეეძლოსთ თავიან-  
თი მონაგების სასარგებლოთ შენახვა და  
იქიღამე სესხება იმდენი ფულისა, რამდენიც  
საჭირო იქნება იმათი ეპურობისა და აღბ-  
მიცემობისათვის.

შენიშვნა: ქალებს ხმა აქეთ საზოგა-  
დო შეკრებებში, მაგრამ გამგობის წევ-  
რად ყოფნა არ შეუძლიან.

**§ 2.**

ყოველმა წევრმა, საზოგადოებაში შესე-  
ლისათანეგ უნდა შეიტანოს ფულად ათი პრო-

ცენტიმფულისა, რამდენიც წოდდება მხოლოდ  
იმისთვის და მიღებული წესისამებრ უნდა წა-  
რადგინოს მოვალეობა, რომ პასუხს ეაგებო  
საზოგადოების მოქმედებაში, როგორც ამ ათი  
პროცენტისათვის, ისე იმ ოთხმოცდა ათი  
პროცენტისათვის, რომელიც სესხათ მეძლე-  
ვარ საზოგადოებისაგანა ყოველ დაჭირებაზე.

შენიშვნა: არც ერთი წევრი საზოგა-  
დოების ვალისა და ზარალისთვის იმ ფულზე  
მეტს პასუხს არ აძლევს გარეშე პირებს, რამ-  
დენსაც თვითონ იღებს სესხათ საზოგადოე-  
ბისაგან.

**§ 3.**  
საზოგადოების წევრებისაგან ათი პროცენ-  
ტებით დგება ძ ი რ თ ა ე ნ ი (основной ка-  
питал). და რაც უკისრიათ საზოგადოების  
ყველა წევრებს, იმ ფულის რიცხვი სულ გრ-  
თად შეადგენს თავნის, რომელიც პასუხის მგე-  
ბელია საზოგადოების მოქმედებისათვის (ვალ-  
სესხისათვის).

**§ 4.**

სულ რომ ცოტა ეთქვათ, თითო წევრს  
ოცდა ათი თუმნის ნღობა ეძლევა; უღიდეს  
სი ნღობის მიცემა, ისე რომ მომეტებული  
არც ერთს წევრს აღარ უნდა ექნეს, რხევის  
საქმეა და დამოკიდებულია საზოგადოების  
მოქმედების წარმატებაზე.

**§ 5.**

საზოგადოებისაგან მიღებულ შესანახს  
ფულს, წარმავლ ანგარიშისთვის შეტანილს  
ფულს, აგრეთვე გიროებს, რომელნიც წევ-  
რებს წარმოუდგენიათ, საზოგადოება ხელს  
ვერ ახლებს და ვერც დაიჭებს, თუ არ იმ  
წესით, რომელიც სამოქალაქო სამართლის  
წესდებულებით არის განმარტებული და ამ  
ნაირ შემთხვევებში საზოგადოებას უნდა  
წარუდგინონ ბილეთები, რომელნიც ზემოხ-  
სენებული ფულებისთვის და გიროებისთვის  
მიუციათ, აგრეთვე წევრების წარდგენილს  
საწინდრებს (обеспечение) საზოგადოებასთან  
ვერც სახაზინო ვალისა და ვერც ყრძო პი-  
რის დასაკმაყოფილებლათ ვერ შეეცებიან ი-  
ვალის გასელამდის, რომელიც მეტერთმებ-  
პარატრაფშია დაწესებული ამ საწინდრებ-

საქართველოს  
სამართლებრივი

უკანე დასაბრუნებლათ გასულ წევრებისათვის. ეს ვადა რომ გავა, შემდეგ ამ საწინდრებიდან ჯერ უნდა შევაფარ საზოგადოების ყველა ვალები, რაც ამ კერძო პირს წილად შეხვედრია ან იმისგან აღებულს სესხში, ან საზოგადოების წალაში, და მერე დანარჩენით შეიძლება ხაზინისა და კერძო პირის ვალებიც დააკმაყოფილონ თანახმად მერევე და მეცხრე პარაგრაფებისა. მაგრამ თავის საკუთარ ვალში საზოგადოებას უფლება აქვს წევრებს დაუჭიროს როგორც ამ საწინდრებთან, აგრეთვე შესანახ ფულიდგან (*калада*) და წარმავლ ანგარიშითგან (*текущий счет*) რომელნიც მოსესხე წევრს ეკუთვნის, იმდენი ფული, რამდენიც ამით უსესხნით საზოგადოებისაგან.

§ 6.

ორმოცდა ათ წევრამდის რომ მოგროვდება საზოგადოება შემდეგ დაიწყებს თავის მოქმედებას.

საზოგადოების არსებობას ვადა არა აქვს, რამდენი ხანიც უნდა იძღონს ხანს იქნება; მაგრამ თუ ორმოც და ათს წევრზე ნაკლები იქნა საზოგადოებაში, მაშინ იმან უნდა გასწოროს ყველა თავისი ანგარიშები, ან თუ გარეშე პირებისაგან და ალაგებითგამიღებული შესანახი ფულის რიცხვი სხვა საწინდრებიანა ვადაცა იმ რიცხვს, რაც მეჩვიდმეტე მუხლშია გამოყვანილი და თუ საზოგადოება მაშინვე არ მოიხმარს საშუალებას, რომ შეთანხმდეს ეს რიცხვი: ფულის შენახვაზე უარის თქმით, ვეცხილების გამოსყიდვით, ძირი თავისი ვალებით და სხვა.

საზოგადოების დაშლა ყოველთვის შეიძლება თუ საზოგადო შეკრებილებამ გადაწყვიტა თანახმად 33 პარაგრაფისა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: საზოგადოების მოქმედების დაწყება როდის იქნება, ან როდის მოხდება იმის ანგარიშების წარმოება სულ ესეები საზოგადოების გამგეობამ ვაზეთებში განცხადებას გარდა, უნდა მოახსენოს ფინანსის მინისტრს.

**II. წევრების მიღება და იმათი გამოსვლა, იმათი უფლება და მოვალეობა.**

§ 7.

ვისაც უნდა წევრათ შესვლა, თხოვნა უნდა მისცეს გამგეობას და შიგ უნდა გამოაცხადოს რამდენის ფულის ნდობა მსურს მოიპოვოს, ან რა საფუძვლით ითხოვს, ე. ი. თუ საწინდრით ითხოვს, უნდა მოიხსენოს, რა საწინდარს ადგენს; ან თუ უსაწინდროთ უნდა, ისიც გამოაცხადოს. ამ თხოვნას გამგეობა წარუდგენს მიმღებელს კამიტეტს (*приемный комитет*) და სანამდის იმას საზოგადოების წევრად არ ჩარაცხვენ, დარჩება საიდუმლოთ.

§ 8.

წევრათ მიიღებენ ისეთს კაცებს: 1, რომელნიც მიმღებელი კამიტეტის აზრით არიან საიმედონი; 2, ან თუ საზოგადოებას წარუდგენენ გირაოთ: ა, უძრავს ქონებას, მდებარეს ქ. ტფილისში, ან ტფილისის გუბერნიისში, და ბ, სახელმწიფო პროცენტის ბილეთებს, აკციებს, ობლიგაციებს, საწევრო წილებს და საგირაო ფურცლებს (*акладные листы*), და ვ, ან სხვა საიმედო პირის თანდებობით.

მიმღებელი კამიტეტი რაკი თანახმა გახდება მთხოვნელის წევრად მიღებაზე, მაშინვე ან თანახმა გაუხდება იმდენს ნდობაზე, რამდენსაც წევრი ითხოვს, ან დაუკლებს; ეს იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენათ კეთილსაიმედოა ის გვამი კამიტეტის თვალში ან იმის თანდებების აზრით და აგრეთვე რამდენის ნდობის ღირსი იმისგან წარდგენილ საწინდარის წყლობით.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: როდესაც საწინდრათ შეაქვთ უძრავი ქონება, უნდა წარადგინონ: ა, კანონიერი მოწმობა, რომ საწინდარი გირაოთ არსად არის მიცემული; ბ, საბუთი (*документы*), რომ ქონება იმისია; გ, თუ საწინდარი შენობაა, სტრახოვითი (*страховой полис*), და ქონების აღწერილობა და უმთავრესი პლანი მიწისა და აღწერილებითი პლა-

ნი შენობისა იმ სახით, როგორითაც საწინდრათ წარდგენის დროს. აღწერილობას შეადგენს მამულის მფლობელი დაწესებულ ფორმისამებრ და დამტკიცდება მფლობელისა და რჩევისაგან დანიშნული სამი წევრის ხელის მოწერით (§ 44, შ 13), რომელნიც პასუხს აგებენ ნამდვილ აღწერილობისათვის. ამ საწინდრათ მიღებული უძრავი ქონება დადგენილი წესით უნდა აღიკრძალოს.

§ 9.

მიმღებელს კომიტეტს ნება აქვს, თუ ალანგობრივ ვაჭრობაში და ფულის მდგომარეობაში რაიმე ცვლილება მოხდა, ამის თანახმად მოსთხოვს გამგეობის პირით წევრებს დამატებითი საწინდრები თუ რომელიმე წევრმა არ ასრულა კამიტეტის მოთხოვნილება, მაშინ იმას ნდობაც შეუპოვრდება საზოგადოების მხრით.

§ 10.

თუ წევრს საზოგადოებიდან გამოსვლა მსურს, იმან უნდა წარადგინოს ამაზე თხოვნა გამგეობაში. გამოსული წევრი, თხოვნა რომ მიუცია იმ დღიდან დაწყებული ექვსი თვისა და ათი დღის განმავლობაში მანაც პასუხის მგებელია ყველა საზოგადოების საქმეებში, რომელნიც იმის წევრათ ყოფნის დროს დაწყებულა.

§ 11.

ათი პროცენტი და მერევე პარაგრაფისამებრ წარდგენილი საწინდრები რომ აქვს შეტანილი ყოველს წევრს, იქვედგან, თუ ენიცილობაა წევრისაგან თხოვნის მიცემამდის გამოსასვლელად, საზოგადოებამ იზარალა, რამდენიც წილათ ხედება იმდენს გამოურიცხვენ და დანარჩენს, თუ თხოვნა 20 იენისამდის მიუცია, დაუბრუნებენ მაშინ, როცა ანგარიში გაიწმინდება პირველ იანერამდის და თუ თხოვნა მიუცია 20 იენისა შემდეგ 21 დეკემბრამდის, მაშინ რაც მეორე წლის 1-ლს იელისამდის ანგარიში იქნება, იმის გაწმინდის შემდეგ დაუბრუნებენ შემოსვენებულს თავის საწინდარს.

სანამდის წევრი თხოვნას მისცემდა გამოსასვ-

